

## ლიუდმილა გლუხოვა

ლექტორი, დოქტორანტი, ინგლისური ფილოლოგიის ფაკულტეტი  
დნეპროპეტროვსკის ოლეს ჰონჩარის ეროვნული უნივერსიტეტი

## მულტილინგვური განათლების ზოგიერთი ასპექტი თანამედროვე ევროპულ უნივერსიტეტებში

### აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანია ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში მულტილინგვიზმის განხორციელების შესწავლა. სტატიის პირველ ნაწილში განმარტებულია ისეთი ცნებები, როგორებიცაა გლობალიზაცია, ინტერნაციონალიზაცია, მულტილინგვიზმი და განათლების მართვა. სტატიაში ასევე განხილულია მულტილინგვიზმის განხორციელების თავისებურებები ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებიც შეირჩა Times Higher Education -ის მიერ შემუშავებული რანჟირების საფუძველზე. კვლევა ჩატარდა უმაღლესი სასწავლებლების ოფიციალური ვებ-გვერდებიდან მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. კვლევის მიზნების მიღწევისათვის გამოყენებული იყო რამდენიმე მეცნიერული მეთოდი. მულტილინგვიზმის განხორციელების თავისებურებების ანალიზის დროს გათვალისწინებული იყო რამდენიმე კრიტერიუმი, როგორებიცაა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის აკადემიური მობილობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპები, უცხოური ენის შესწავლის შესაძლებლობები, და უცხოურ ენებში მუდმივი კურსების არსებობა. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ მულტილინგვიზმი ეფექტურად ხორციელდება ევროპის იმ უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებიც მონაწილეობდნენ კვლევაში.

*საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, ინტერნაციონალიზაცია, მულტილინგვიზმი, განათლების მართვა.*

### შესავალი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ თანამედროვე საზოგადოებაში გაცილებით კონკურენტუნარიანები არიან ის ადამიანები, რომლებიც ფლობენ უცხოურ ენებს. მათ შეუძლიათ მოგზაურობა სხვადასხვა

ქვეყანაში ენობრივი ბარიერის გარეშე და მათ აქვთ მაღალანაზღაურებადი და პრესტიჟული სამსახურის მიღების მეტი შესაძლებლობა.

თანამედროვე კვლევების თანახმად, მულტილინგვიზმი საკმაოდ ფართოდ

გავრცელებული ფენომენია, რადგან მსოფლიოს მოსახლეობის 75%-მა მაინც იცის ორი ან სამი ენა [5]. მსოფლიოს ქვეყნების დაახლოებით 25 %-ში მინიმუმ ორი სახელმწიფო ენა არსებობს; ზოგიერთ ქვეყანაში კი სამი ან უფრო მეტი სახელმწიფო ენაა.

ყველა ზემოთაღნიშნული ფაქტორი გავლენას იქონიებს უმაღლესი განათლების სისტემაზე, რადგანაც ცოდნა და უნარები, რომლებიც მოსწავლეებმა უნდა შეიძინონ უნივერსიტეტებში, უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე სპეციალისტის მოთხოვნებს. ამიტომაც, ძალიან მნიშვნელოვანია თანამედროვე ევროპულ უნივერსიტეტებში მულტილინგვური განათლების პრინციპების განხორციელების პროცესის შესწავლა და გაანალიზება.

### თეორია

უმაღლესი განათლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პიროვნულ და საზოგადოებრივ განვითარებაში. საუკუნეების განმავლობაში უმაღლესი განათლება თამაშობდა უმნიშვნელოვანეს როლს ქვეყნების ინდუსტრიულ განვითარებაში. განვითარებადი ქვეყნები კი მუდმივად არიან უმაღლესი განათლების ტრანსფორმირების მცდელობაში, რათა მან შეძლოს ქვეყნის განვითარების ხელშეწყობა [3; გვ. 161].

დღეისთვისაც ცალკეული ინდივიდუალებისთვის უმაღლესი განათლება კვლავ წარმოადგენს წარმატებული კარიერისა და ცხოვრების საფუძველს. ქვეყნებისთვის კი უმაღლესი განათლება იძლევა გლობალიზაციის გამოწვევებთან გამკლავების შესაძლებლობას.

ცნება *გლობალიზაცია* არის საერთაშორისო სისტემა, რომელიც დიდ გავლენას ახდენს ქვეყნებისა და საზოგადოების ფორმირებაზე. ეს არის მსოფლიოს კულტურებს, პოლიტიკას, ბიზნესსა და ინტელექტუალურ ელემენტებს შორის ინტერაქციისა და ინტეგრაციის პროცესი. დღესათვის, ცოდნის ფლობა და ამ ცოდნის გამოყენება უმნიშვნელოვანესია პიროვნული და საზოგადოებრივი განვითარებისთვის. ასევე, კვალიფიციური და გლობალურად მოაზროვნე სამუშაო ძალა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ნებისმიერი ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის ხარისხს. დღევანდელ საზოგადოებაში წარუმატებელი იქნება ნებისმიერი ორგანიზაცია, რომელიც ვერ შეძლებს კრეატიულ და გლობალურ დონეზე კონკურენტუნარიანი თანამშრომლების მოზიდვასა და შენარჩუნებას. ასეთი კონკურენტუნარიანი ინდივიდების შექმნა კი შეუძლიათ უმაღლესი განათლების დაწესებულებებს [14].

გლობალიზაციისგან განსხვავებით, *ინტერნაციონალიზაციის* ფოკუსს წარმოადგენს ინდივიდების, ჯგუფებისა

და სოციალური ინსტიტუტების გამიზნული ქმედებები საკუთარი ქვეყნის საზღვრებს მიღმა და სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული სარგებლის ძიება [2; გვ. 9-10].

უმაღლესი განათლების კონტექსტში ჯიმ ნაითი ინტერნაციონალიზაციას განსაზღვრავს, როგორც ტრანსნაციონალური ელემენტების ინტეგრირებას სკოლის შემდგომი განათლების მიზნებში, ფუნქციებსა და მიწოდებაში [1]. ეს ნიშნავს, რომ უმაღლესი სასწავლებლები ერთგვებიან საერთაშორისო პროცესში, მაშინ, როდესაც ცვლიან საკუთარ მიზნებს საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის, საერთაშორისო პროგრამების შექმნისა და განხორციელების, საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი პროგრამული ელემენტების შემოღებისა და მოზიდვისა და დაფინანსების რესტრუქტურისა და თანამშრომლების მოზიდვისა და შენარჩუნების მიზნით [2; გვ.10].

გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის შედეგად, მსოფლიო გახდა უფრო მეტად ურთიერთდაკავშირებული. ეს კავშირები ძირითადად ეკონომიკური ხასიათისაა, თუმცა ამას აქვს პოლიტიკური, სოციალური და კულტურული გავლენა ყველა ერზე. კავშირების მახასიათებლებს დიდი მნიშვნელობა არ აქვს - მთავარია, ერთი რამ, რაც ყველას აერთიანებს - უცხოური ენების ცოდნა. ეს ის საკითხია,

სადაც მულტილინგვიზმი ხდება მნიშვნელოვანი.

მულტილინგვიზმის ფენომენი თანამედროვე ევროპის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ან კონცეპტს არ აქვს დიდი ისტორია, ის უფრო და უფრო ხშირად და ფართოდ გამოიყენება უმაღლეს განათლებაში. გარდა ამისა, არსებობს რამდენიმე ნაშრომი, სადაც ახსნილია ამ ცნების სემანტიკური სტრუქტურა და თავისებურებები.

მულტილინგვიზმის შესახებ სხვადასხვა ნაშრომის საფუძველზე [1], [5], [9], ეს არის საკმაოდ რთული ფენომენი, რომლის მარტივად ახსნა რთულია. მიუხედავად ამისა, მისი ძირითადი პრინციპები შეიძლება აიხსნას ორნაირად:

1. ერთი მხრივ, მულტილინგვიზმი გაგებულია როგორც ინდივიდის ან ადამიანების ჯგუფის ერთზე მეტ ენაზე საუბრის და მისი ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების უნარი.

2. მეორეს მხრივ, ცნება მულტილინგვიზმი გამოიყენება ერთ კონკრეტულ გეოგრაფიულ ან გეოპოლიტიკურ ტერიტორიაზე სხვადასხვა ლინგვისტური ჯგუფების მშვიდობიანი თანაარსებობის აღწერისთვის.

მოცემულ კვლევაში გათვალისწინებულია ორივე განმარტება.

უნდა აღინიშნოს, რომ უცხოური ენების ცოდნა ევროპელი ხალხის მიერ აღიქმება, როგორც ახალი მოსაზრებებისა

და კულტურების შესწავლისა და თვალსაწიერის გაფართოების შესაძლებლობად, საკუთარი მშობლიური ენის ცოდნის გაუმჯობესებისა და სასურველ ევროპულ ქვეყანაში მომავალი სამუშაო ადგილის შერჩევისა საშუალება [6] [7].

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზემოთ აღნიშნული იდეა ძალიან მნიშვნელოვანია ე.წ. მულტილინგვიზმის ევროპული უნივერსიტეტების ქსელისთვის (EUNoM), რომელიც შეიქმნა შემდეგი მიზნით: „უნივერსიტეტების მდგრადი ქსელის“ შექმნა, რომლის თითოეულ წევრს ექნება მულტილინგვიზმის მულტიდისციპლინური მიდგომის შესწავლის სურვილი როგორც აკადემიური, ასევე ორგანიზაციული კუთხით“ [10].

ამ ორგანიზაციამ დაიწყო პროექტის განხორციელება ევროპის 20 უნივერსიტეტისა და 2 კვლევით ცენტრის მონაწილეობით, რომლებსაც სურვილი აქვთ შეიმუშაონ რელევანტური მულტილინგვური სტრუქტურა და ჩაერთონ ევროპაში მულტილინგვიზმის განხორციელების შესახებ დისკუსიებში. იგი ასევე ცდილობს განსაზღვროს, თუ როგორ უნდა მოხდეს კონკრეტულად ენისა კულტურის სწავლების მიდგომის მოდერნიზაცია უნივერსიტეტებში [10].

ჩვენი კვლევის მთავარი მიზანია ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში მულტილინგვიზმის განხორციელების შესწავლა. ამისათვის საჭიროა რამდენიმე ამოცანის შესრულება, რაც, თავის მხრივ,

EUNoM -ის ძირითად მიზნებს ეფუძნება [10]. ჩვენი კვლევის მიზნებია:

- უნივერსიტეტების კურიკულუმებში მულტილინგვიზმის ელემენტის შესწავლა;
- უნივერსიტეტებში მობილობისა და ენის სწავლის პრინციპების ინტეგრირების შესწავლა;
- ჩვენი კვლევისთვის შერჩეული თითოეული უნივერსიტეტის პარტნიორი უნივერსიტეტის ქსელის შესწავლა; საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესში მულტილინგვური კომპონენტის არსებობის გამოკვლევა.

ბუნებრივია, რომ სწავლის პროცესში მულტილინგვური კომპონენტის განხორციელებისთვის უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურა და მაღალკვალიფიციური მენეჯერები. ეს არის *განათლების მართვის* სფერო, რომელიც განისაზღვრება, როგორც „უმაღლესი განათლების ორგანიზაციის მართვის პროცესი და სისტემა, რომელიც ორიენტირებულია შიდა და გარე ბაზარზე საგანმანათლებლო სერვისების კონკურენტუნარიანობისკენ მაღალხარისხიანი განათლების მიწოდებისა და სპეციალისტების მომზადების, მაღალი დონის პროფესიული ცოდნისა და უნარებისა და მაღალი მორალური განვითარების გზით [4; გვ. 65].

ზემოთ აღნიშნული იდეების გათვალისწინებით შეიძლება ვიგულისხმოდ, რომ საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის მიღწევისთვის მულტილინგვურ კომპონენტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. შესაბამისად, აუცილებელია, რომ უნივერსიტეტების მენეჯერები და მათი თანამშრომლები მინიმუმ ერთ უცხო ენაზე მაინც საუბრობდნენ. სწორედ ამიტომაც აღვნიშნავდით, რომ მულტილინგვიზმის ასახვა მხოლოდ უნივერსიტეტის კურიკულუმში საკმარისი არ არის; ეს გარემოება კიდევ ერთხელ აჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია პიროვნების კარიერული ზრდისთვის უცხოური ენის ფლობა. ასე რომ, უნივერსიტეტის მართვის დონეზე მულტილინგვური კომპონენტის განხორციელება ასევე მნიშვნელოვანია.

## მეთოდი

ჩვენი კვლევების მიზნების მისაღწევად, რამდენიმე მეცნიერული მეთოდი გამოვიყენეთ, როგორებიცაა:

1. ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია გავაანალიზოთ თანამედროვე უმაღლეს სასწავლებლებში მულტილინგვიზმის კომპონენტის ძირითადი პრინციპები (ინდიქციის მეთოდი) და გამოვიტანოთ

შესაბამისი დასკვნები (დედუქციის მეთოდი);

2. ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, რომელიც გვეხმარება კვლევისთვის შერჩეულ უნივერსიტეტებში მულტილინგვიზმის განხორციელების მოდელში კონკრეტული ელემენტების გამოყოფასა და საერთო სისტემაში გაერთიანებაში;
3. შედარებითი მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ მულტილინგვიზმის კომპონენტის იმპლემენტაციის საერთო და განსხვავებული მახასიათებლები თანამედროვე ევროპულ უნივერსიტეტებში;
4. აღწერითი მეთოდი, რომელიც გამოყენებული იქნება მიღებული შედეგების აღწერის დროს.

## განხილვა და შედეგები

კვლევის პროცესი შედგებოდა რამდენიმე ეტაპისგან:

პირველ რიგში, ჩვენ შევარჩიეთ ევროპის 10 წარმატებული უნივერსიტეტი. შერჩევის კრიტერიუმად გამოყენებული იყო მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირება, რომელიც მომზადებულია *Times Higher Education*-ის მიერ. უნდა აღვნიშნოს, რომ უნივერსიტეტების რანჟირება ეფუძნება 13 ინდიკატორს, რომლებიც იძლევა უნივერსიტეტების სრულფასოვანი და დაბალანსებული შედეგების შესაძლებლობას. ჩვენ მიერ

შერჩეული უნივერსიტეტები მოიცავს ისეთ უმაღლეს სასწავლებლებს, როგორებიცაა ETH-ციურიხი, ლოზანეს ტექნოლოგიის ფედერალური ინსტიტუტი (შვეიცარია); მიუნხენის მაქსიმილიანის უნივერსიტეტი, გოტინგენის ჯორჯ-აუგუსტის უნივერსიტეტი (გერმანია); ლუნდის უნივერსიტეტის კაროლნსკის ინსტიტუტი (შვედეთი); ლეუვენის უნივერსიტეტი (ბელგია); ლეიდენის უნივერსიტეტი, უტრეხტის უნივერსიტეტი (შვედეთი); პიერ და მარი კურიეების სახ. უნივერსიტეტი (საფრანგეთი). უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი სია მოიცავს არამხოლოდ კლასიკურ უნივერსიტეტებს, რომლებსაც აქვთ სპეციალობების მრავალფეროვანი არჩევანი, არამედ შედარებით ვიწრო სპეციალიზაციის უნივერსიტეტებსაც, როგორებიცაა კაროლნსკის სამედიცინო უნივერსიტეტი, ETH-ციურიხი, ლოზანეს ტექნოლოგიის ფედერალური ინსტიტუტი, რომლებიც ტექნიკური უნივერსიტეტები არიან და ასევე *École Normale Supérieure* - ხელოვნებისა და მეცნიერების მიმართულებით. გარდა ამისა, ეს უნივერსიტეტები აკმაყოფილებენ მულტილინგვიზმის კომპონენტის მოთხოვნებს და ამიტომაც მოხდა მათი შერჩევა კვლევისთვის.

კვლევის მეორე ეტაპი მოიცავდა იმ კრიტერიუმების შერჩევას, რომელთა საშუალებითაც მოხდებოდა უნივერსიტეტების მიერ მულტილინგვიზმის

განხორციელების პრინციპების შესწავლა, როგორებიცაა, სტუდენტებისა და უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აკადემიური მობილობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპები, უცხოური ენების შესწავლის შესაძლებლობები, და უცხოურ ენებზე კურსების არსებობა. კვლევისთვის გამოყენებული იყო საინფორმაცია მასალები მონაწილე უნივერსიტეტების ოფიციალური გვერდებიდან.

მესამე ეტაპზე ჩვენ შევადარეთ უნივერსიტეტების ვებ-გვერდებიდან მიღებული ინფორმაცია და მივიღეთ შემდეგი შედეგები:

აკადემიური მობილობა თითოეული უნივერსიტეტის საზრუნავის სფეროს წარმოადგენს. ყველა უნივერსიტეტს აქვს მრავალფეროვანი გაცვლითი პროგრამები პერსონალისა და სტუდენტებისთვის. მაგალითისთვის, მიუნხენის ლუდვიგის მაქსიმილიანის უნივერსიტეტს (გერმანია) ჰყავს 363 პარტნიორი უნივერსიტეტი ევროპის მასშტაბით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობა არ შემოიფარგლება ევროპული ქვეყნებით. კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტები ასევე თანამშრომლობენ აზიის, ჩრდილოეთ ამერიკის, სამხრეთ აფრიკისა და მსოფლიოს სხვა რეგიონების უმაღლეს სასწავლებლებთან. ეს კი ნიშნავს იმას, რომ არსებობს არა მხოლოდ აკადემიური გამოცდილების გაზიარების, ასევე

ცალკეული ინდივიდების მულტიკულტურული განვითარებისა და თვალსაწიერის გაფართოების შესაძლებლობა.

უფრო მეტიც, თითოეულ უნივერსიტეტში არის „მოწვეული პროფესორის / მკვლევარის / მეცნიერის“ პრაქტიკა. მოწვეული პროფესორების არსებობა გულისხმობს სასწავლო კურსებისა და ლექციების სხვადასხვა უცხოურ ენაზე ჩატარებას. ფაქტობრივი მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ ასეთი კურსების რაოდენობა შეადგენს დაახლოებით თორმეტს (ლეუვენის უნივერსიტეტი). თუკი მოწვეული პროფესორის პოზიციას შევხედავთ მეთოდოლოგიური პერსპექტივიდან, ვნახავთ, რომ ის გავლენას ახდენს უმაღლეს სასწავლებელზე სხვადასხვა დონეზე. პირველ რიგში, სტუდენტებისთვის ძალიან სასარგებლოა უცხოელი პროფესორის ლექციაზე დასწრება არა მარტო აკადემიური, არამედ უცხოური ენის უნარების განვითარების მიზნით (თუ ლექტორი უცხოურ ენაზე ატარებს ლექციას). გარდა ამისა, მოწვეული პროფესორის პრაქტიკა აკადემიური პერსონალისთვის გამოცდილების გაზიარების ერთ-ერთი საუკეთესო შესაძლებლობაა. დაბოლოს, აღნიშნული პრაქტიკა და მისი შედეგები სრულად შეესაბამება ბოლონის პროცესის მოთხოვნებს: „ბოლონის პროცესის მიზანია უნივერსიტეტების დაახლოება. ეს

არ ნიშნავს უმაღლესი განათლების სტანდარტიზებას. აღნიშნულ პროცესში ავტონომიისა და მრავალფეროვნების ფუნდამენტური პრინციპების დაცვა უმნიშვნელოვანესია“ [12; გვ. 3].

პარტნიორ უნივერსიტეტებთან ურთიერთობების დამყარების პროცესში, თითოეული უნივერსიტეტი ცდილობს საერთაშორისო და გლობალურ დონეზე კონკურენტუნარიანობისა და სხვადასხვა დონეზე წარმატების მიღწევას (სწავლების, კვლევისა და მართვის დონეები). ეს კი მიაწინებს უნივერსიტეტის მიერ საერთაშორისო ურთიერთობებისა და შესაძლებლობების გამოყენების მნიშვნელობის აღიარებას.

ყველა უნივერსიტეტს აქვს უცხოური ენის შესწავლის ცენტრი. ცენტრში შეთავაზებული უცხოური ენების რაოდენობა მერყეობს 4-დან (ETH-ციურიხი) 13-მდე (ლეუვენის უნივერსიტეტი). უცხოური ენები მოიცავს როგორც ევროპული ქვეყნების ენებს (იტალიური, გერმანული, ესპანური, უკრაინული, რუსული და ა.შ.). ასევე სხვა რეგიონების ენებსაც (ჩინური, იაპონური, არაბული და სხვა). გარდა ამისა, ყველა სტუდენტს აქვს უცხოური ენის გამოცდის ჩაბარებისა და მისი ცოდნის დონის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატის აღების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში, მულტილინგვიზმის განხორციელება ხდება სწავლის მიზნის სახით, ანუ ხდება ენის სრულფასოვანი

შესწავლა. ეს ეხმარება სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს, ჩაერთონ საერთაშორისო გაცვლების პროცესში. რაც უფრო მეტი ენა იციან მათ, ასეთი გაცვლების გეოგრაფიული არეალი მით უფრო იზრდება.

თითოეული უნივერსიტეტი თავის სტუდენტებს სთავაზობს სასწავლო კურსებს ქვეყნის ოფიციალური ენისგან განსხვავებულ ენაზეც. მაგალითად, ETH-ციურიხი შვეიცარიაში სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, ინგლისურ ენაზე ისწავლონ ისეთი კურსები, როგორებიცაა ახალი წარმოება ინჟინრებისთვის, მიკრობიოლოგია და მრავალი სხვა. მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის (გერმანია) კურიკულუმი მოიცავს სასწავლო კურსებს 12 ენაზე (ინგლისური, ესპანური, იტალიური, ჰოლანდიური, თურქული და სხვა ენები). ამ შემთხვევაში უცხოური ენა წარმოადგენს არა სწავლის მიზანს, არამედ სწავლის შესაძლებლობას. ასეთი კურსები (მაგალითად, ინგლისურ ენაზე) იყენებენ თანამედროვე სწავლისა და სამომავლო პროფესიებისათვის მნიშვნელოვან საკომუნიკაციო ინსტრუმენტებს: საერთაშორისო სტაჟირება, ანგლოფონებთან თანამშრომლობა, ინგლისურენოვანი კვლევითი სტატიები, პრეზენტაციების ინგლისურ ენაზე მომზადება და სხვა. გარდა ამისა, უცხოური ენის დამწყებ კურსებთან ერთად, უნივერსიტეტები სტუდენტს სთავაზობენ უფრო მაღალი

დონის კურსებს, რომლებიც უმნიშვნელოვანესია კონკრეტულ სფეროში კვლევის ჩატარებისთვის, როგორებიცაა ანთროპოლოგია, ფილოსოფია, მართვა, ქიმია და სხვა.

### დასკვნა

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მულტილინგვიზმი წარმოადგენს განვითარების პროცესში მყოფ ფენომენს და ევროპის უმაღლესი სასწავლებლების განუყოფელ ნაწილს. მულტილინგვიზმის განხორციელებისკენ მიმართული თითოეული აქტივობა ხელს უწყობს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჩამოყალიბებას, რომლებიც კომპეტენტურები იქნებიან როგორც საკუთარ სფეროში, ასევე უცხოურ ენებში.

მულტილინგვური კომპონენტი ხორციელდება კვლევაში მონაწილე ყველა უნივერსიტეტში. თითოეულ უნივერსიტეტს აქვს საერთაშორისო თანამშრომლობის კარგად განვითარებული სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტებისა და პროფესორებისთვის განვითარებისთვის ფართო შესაძლებლობების შექმნას, მობილობისა და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის კუთხით. გარდა ამისა, ყველა უნივერსიტეტი სთავაზობს თავის სტუდენტებს სასწავლო კურსებს უცხოურ ენებზე, ისევე როგორც უცხოური ენის შემსწავლელ პროგრამებს. პარტნიორი უნივერსიტეტების ჩამონათვალი კი არ შემოიფარგლება მხოლოდ



ევროპული სასწავლებლებით და მოიცავს მსოფლიოს სხვა რეგიონებსაც. ამდენად, მიგვაჩნია, რომ მულტილინგვიზმი წარმატებით

ხორციელდება ევროპაში. თუმცა, რამდენადაც იგი მრავალწახნაგოვან ფენომენს წარმოადგენს, მისი დამატებითი კვლევა და ანალიზი აუცილებელია.

### წყაროები:

1. Knight J. Internationalization of higher education / J. Knight // J. Knight (Ed.) Quality of internationalization in higher education. – Paris: OECD, 1999. – P.13-18.
2. Mitchell D.E., Nielsen S.Y. Internationalization and Globalization in Higher Education / D.E. Mitchell, S.Y. Nielsen // Globalization - Education and Management Agendas Ed. by Hector Cuadra-Montiel. – Rijeka: InTech, 2012. – P. 3-22.
3. Moja T. Institutional Challenges and Implications for HEIs: Transformation, Mission and Challenge for the 21<sup>st</sup> Century / T. Moja // Higher Education in the World 3: New Challenges and Emerging Roles for Human and Social Development. – London: Palgrave Macmillan, 2008. – P. 161-169.
4. Schul- und Bildungsmanagement: 100 Aktuelle Begriffe / O. Graumann, R.W. Keck, M. Pewsner, A. Rakhkochkine, A. Schirin. – Hildesheim: Universitätsverlag Hildesheim, 2004.
5. Wright S. Language Networks in European Parliament: the Rise of English / S. Wright // The 15<sup>th</sup> Congress of Applied Linguistics. Multilingualism: Challenges and Opportunities. – Essen, 2008.
6. Коржакова М.А. Мультилингвизм в образовательной политике Евросоюза / М.А. Коржакова // Образование и воспитание. – 2010. – № 9. – С. 72-75.
7. Крючкова Т.Б. Языковая политика и реальность / Т.Б. Крючкова // Вопросы филологии. – 2010. – № 34. – С.30-34.
8. Смирнова О.А. Европейский мультилингвизм / О.А. Смирнова // Иностранные языки в школе. – 2007. – № 3. – С. 94-100.
9. Смирнова Т.П. Основные тенденции развития европейской языковой политики и пути её реализации / Т.П. Смирнова // Политическая лингвистика. – 2012. – № 2. – С. 153-156.

**ინტერნეტრესურსები:**

10. European Universities' Network on Multilingualism (EUNoM) // Available at: [http://in3.uoc.edu/opencms\\_in3/opencms/webs/projectes/EUNOM/EN/](http://in3.uoc.edu/opencms_in3/opencms/webs/projectes/EUNOM/EN/)
11. Multilingualism and university in Europe today: a new phase in an old relationship / Speech by M.P. Bobic at the DG Interpretation-Universities Conference. – Brussels, 10 March 2006. – Available at: [http://ec.europa.eu/dgs/scic/docs/conf\\_speech\\_bobic.pdf](http://ec.europa.eu/dgs/scic/docs/conf_speech_bobic.pdf).
12. The Bologna Declaration on the European space for higher education: an explanation // Available at: <http://ec.europa.eu/education/policies/educ/bologna/bologna.pdf>
13. THE World University Rankings // Available at: <http://www.timeshighereducation.co.uk/world-university-rankings/>
14. Wood V.R. Globalization and Higher Education: Eight Common Perceptions From University Leaders // Available at: [http:// http://www.anienetwork.org/content/globalization-and-higher-education-eight-common-perceptions-university-leaders](http://www.anienetwork.org/content/globalization-and-higher-education-eight-common-perceptions-university-leaders).